

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი თავისუფლების N65

28 ივნისი 2021 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, აპოლონ რამიშვილი, რობიზონ ფუტყარაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, დავით ადეიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, გიგა გოგობერიძე, მალხაზ ცერცვაძე, პაატა ხურციძე, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **დავით ხარძეიშვილი** (კომისიის უზუცესი წევრი)

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორადი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ზაზა ოჩხიკიძე**.

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, ინფრასტრუქტურული პროექტების იდეების მოწონების თაობაზე.

მომხს: ზაზა ოჩხიკიძე

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, ინფრასტრუქტურული პროექტების იდეების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია აცხადებს საგრანტო კონკურსს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) განსახორციელებლად. აღნიშნულ საგრანტო კონკურსში, სრიგპ-ში გათვალისწინებული პრიორიტეტების მიხედვით ჩვენს მიერ შერჩეული იქნა 6 საპროექტო იდეის განაცხადი, რომლებიც საჭიროებენ საკრებულოს მოწონებას:

1. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ქ. ვანში გივი ყიფიანის სახელობის ტყე-პარკის რეაბილიტაცია.
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთაში, შუამთა-ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.
3. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ ფერეთაში ტურისტულ ზონამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
4. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით სოფელ სალხინოში საოჯახო სასტუმროსა და შატომარანთან მისასვლელი საუბნო გზის რეაბილიტაცია.

5. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სკვერისა და მაზე განთავსებული შენობის რეაბილიტაცია.

6. ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არილის განვითარების მიზნით ქ. ვანში ტაბიძის ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან წამოვიდა ინიციატივა, რომ აღნიშნულ საპროექტო ჩამონათვალს დაემატოს კომისიის წევრების მხრიდან არჩეული 6 (ექვსი) პროექტი. კერძოდ;

1. სოფელ ონჯოხეთის გავლით კატრების მიმართულება.
2. ჭოკიანი - ტაპაყუროს კანიონი და ტაპაყუროს ტბა.
3. სულორი - ალპური ზონისკენ მიმავალი საფეხმავლო გზა.
4. ტყელვანის კარიერის გავლით ზენობის გზაზე გასავლელი გზა და მიბმული ზედავანი-გადიდის (ყოფილი პიონერთა პარკი) გზა.
5. ყუმურიდან ალპური ზონისკენ მიმავალი გზა.
6. მდინარე ჭიშურაზე კანიონი „ჭურას“ კეთილმოწყობის

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვეტის: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

დავით ხარბეიშვილი

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე